საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/39 “ 20 ” მაისი 2022 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის
მოძრავი ქონების ჩამოწერასა და განკარგვაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიმდინარე წლის 17 თებერვლის №06-1360 წერილით მომართა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა და მოითხოვა თანხმობის გაცემა საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსიდან ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამოწერასა და განკარგვაზე. წერილში აღნიშნულია, რომ საერთო სასამართლოებში უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში არ განხორციელებულა ავტოპარკის განახლება. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლოატაცია, მათი მდგომარეობის გათვალისწინებით, არ არის უსაფრთხო. უკანასკნელ პერიოდში მათ სარემონტო სამუშაოებზე დახარჯული თანხები იწვევს საბიუჯეტო თანხების ირაციონალურ ხარჯვას და ხშირ შემთხვევაში აღემატება სატრანსპორტო საშუალებების საბალანსო ღირებულებებს. ამასთან, სატრანსპორტო საშუალებების ჩამოწერის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მათი სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის გადაცემის პარალელურად, საერთო სასამართლოების შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საერთო სასამართლოების დეპარტამენტი გეგმავს ახალი სატრანსპორტო საშუალებების შეძენას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო სამართლის იურიდიული პირების, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი სხვა ორგანიზაციების, აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების ბალანსზე რიცხული ამორტიზებული ან გამოუყენებელი ძირითადი აქტივების ჩამოწერისა და მის შედეგად მიღებული ქონების განკარგვის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 22 მარტის №82 დადგენილების საფუძველზე, თანხმობა მიეცეს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, ბალანსიდან ჩამოწეროს და განკარგოს თანდართული მოძრავი ქონება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, 2022 წლის 15 ივლისამდე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დანართი

№	ავტოსატრანსპორტო საშუალების მარკა და მოდელი	რეგისტრაციის ნომერი	გამოშვების წელი	გარბენი (კმ)	საბალანსო ღირებულება (ლარში) 2021 წ.
1	HYUNDAI-GRANDEUR	SA707SA	2012	220430	18750
2	KIA-SORENTO	TT727VV	2009	258320	9468
3	HYUNDAI-GRANDEUR	TT971ZT	2012	347336	15780
4	HYUNDAI-SANTAFE	KK944XK	2010	243900	14517.8
5	HYUNDAI-I20	KK948XK	2013	194948	7856.2
6	HYUNDAI-SANTAFE	ML211LM	2013	330147	21000
7	KIA-CADENZA	QQ767MM	2012	223770	11776
8	KIA-OPTIMA	PC515CP	2012	302288	3843.14
9	KIA-OPTIMA	QE070EQ	2012	258017	3408.74
10	KIA-OPTIMA	AD897AC	2012	375800	7311.2
11	KIA-OPTIMA	LL891HL	2012	515717	7311.2
12	HYUNDAI-ELANTRA	VV090CC	2013	240191	7132.4
13	HYUNDAI-IX35	NN550TT	2010	268970	9994
14	HYUNDAI-GRANDEUR	QQ088QR	2012	250000	15780
15	KIA-OPTIMA	QQ099QR	2012	231375	8047.4
16	NISSAN-XTRAIL	QQ141QR	2013	201199	0
17	NISSAN-XTRAIL	AA191GG	2014	260100	3676.68
18	KIA-OPTIMA	CI294II	2012	224437	8416
19	KIA-OPTIMA	CC905CB	2013	264540	12375
20	KIA-OPTIMA	QQ155QR	2012	394652	8047.4
21	KIA-OPTIMA	QQ122QR	2012	289372	7574.2
22	HYUNDAI-IX35	VB871VV	2011	312509	11046
23	HYUNDAI-SONATA	NY737YN	2010	379631	7784.4
24	HYUNDAI-IX35	LL889HL	2012	269631	11729.4
25	KIA-OPTIMA	VB870VV	2012	265757	7942.8
26	KIA-OPTIMA	LL890HL	2012	297773	8047.4
27	KIA-OPTIMA	CI589II	2012	382529	7890
28	KIA-OPTIMA	CI172II	2012	148448	10940.4
29	KIA-CERATO	VW557WV	2012	263949	7265.52
30	KIA-OPTIMA	DW854WD	2012	273297	8047.4
31	KIA-OPTIMA	QQ123QR	2012	240808	8153
32	HYUNDAI-IX35	KK947XK	2011	339779	10940.4
33	HYUNDAI-TUCSON	LL882HL	2010	447817	8205.8
34	KIA-OPTIMA	TQ818TQ	2011	267439	5669.46
35	HYUNDAI-IX35	TQ787TQ	2011	178845	11992.4